იუგოსლავიის ტურნეს შემდეგ

თბილისის ”დინამოს” ფეხბურთელებმა, რომლებიც უეფას ტურნირისათვის ემზადებიან, იუგოსლავიაში მეორე მატჩი გამართეს ქალაქ მარიბორის გუნდთან - პირველი ლიგის ლიდერთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა მ. მაჩაიძემ. ლიუბლიანის ”ოლიმპიასთან” პირველ შეხვედრაში, რომელიც დინამოელებმა წააგეს 1:2, ასევე თავი გამოიჩინა დინამოელთა კაპიტანმა.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს განუცხადა შინ დაბრუნების შემდეგ გუნდის უფროსმა კ. ასათიანმა, ზაგრების ”დინამოსთან” მატჩი არ გამართულა, ვინაიდან ადგილობრივი სტადიონი მზად არ იყო ფეხბურთელთა მისაღებად.

პირველ მატჩში, რომელიც ლიუბლიანაში გაიმართა, შესამჩნევი უპირატესობა გვქონდა, - თქვა მან, - მაგრამ მისი გამოყენება ვერ შევძელით, ამასთან არც მსაჯობა იყო რიგიანი.

”ნეაპოლისთან” საპასუხისმგებლო შეხვედრისათვის ჩვენი ფეხბურთელები საუკეთესო შემადგენლობით ემზადებიან. 5 საერთაშორისო მატჩით დისკვალიფიცირებული შ. ხინჩაგაშვილის გარდა ყველა მწყობრშია. თბილისის ”დინამოს” უფროსი მწვრთნელი ნ. ახალკაცი იუგოსლავიიდან პირდაპირ ნეაპოლში გაფრინდა დინამოელთა მომავალი მეტოქის თამაშზე დასასწრებად. (საქინფორმი)

“ლელო”, 12.09.78